ბავშვთა უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილების საქმიანობის შესახებ ინფორმაცია

ხარაგაულის მერიის ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება მუშაობს ბავშვთა უფლებების დაცვისა და არასრულწლოვანთა მხარდაჭერის კუთხით. განყოფილებაში დასაქმებულია ოთხი კადრი - კოორდინატორი, სოც მუშაკი, ჯანდაცვის სპეციალისტი და ფსიქოლოგი.

განყოფილების საქმიანობა მოიცავს ბავშვთა სოციალური მუშაკისა და სხვა სპეციალისტების მიერ განხილულ საქმეებსა და განხორციელებულ პროექტებს. მაგალითისთვის გასული ერთი წლის განმავლობაში ბავშვთა სოციალურმა მუშაკმა განახორციელა 88 შემთხვევის განხილვა. სოც მუშაკის მიერ თითოეულ საქმეზე შექმნილია ინდივიდუალური ქეისი. ეს საქმიანობა მოიცავდა შემდეგ ძირითად მიმართულებებს: საჭიროებების შეფასება - თითოეული შემთხვევის ინდივიდუალური საჭიროებების სიღრმისეული შეფასება, რათა დადგენილიყო ბავშვისა და ოჯახის წინაშე მდგარი გამოწვევები. საერთო ჯამში არასრულწლოვანთა მხარდაჭერის ქვეპროგრამიდან ერთი წლის მანძილზე გაცემულია - 88 322 ლარი. 56

განყოფილება განიხილავს სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს იმერეთის რეგიონული ცენტრიდან რეფერირებულ ქეისებს და კომპეტენციის ფარგლებში ერთვება ოჯახის სოციალურ- ეკონომიკურ გაძლიერებაში.

განყოფილების სპეციალისტების მიერ ხორციელდება ოჯახებში რისკების იდენტიფიცირება - ბავშვთა მიმართ ძალადობის, უგულებელყოფისა და ექსპლუატაციის რისკების გამოვლენა და შეფასება. თითოეული ბავშვისა და ოჯახისთვის საჭირო სერვისებისა და მხარდაჭერის განსაზღვრა, მათ შორის განათლების, ჯანდაცვის, ფსიქოლოგიური დახმარებისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების კუთხით.

ასევე, მონიტორინგი და შეფასება - შემუშავებული გეგმების შესრულების მუდმივი მონიტორინგი და შედეგების შეფასება, საჭიროების შემთხვევაში კორექტირებების შეტანა. რეფერირება და კოორდინაცია, ოჯახების გაძლიერება - მშობლებისთვის კონსულტაციების გაწევა და მათი ჩართულობის ხელშეწყობა ბავშვთა კეთილდღეობის გაუმჯობესების პროცესში.

კონკრეტული მდგომარეობის მიხედვით, განყოფილების სპეციალისტებით დაკომპლექტებული მულტიპროფილური გუნდი ადგენს გასაწევი დახმარების ფორმებსა და მოცულობას და იღებს გადაწყვეტილებას რა სახის დახმარება უნდა გაეწიოს ბენეფიციარს.

ხარაგაულის მერიასა და საერთაშორისო ორგანიზაცია „წითელ ჯვარს“ შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, ბავშვთა მხარდაჭერის განყოფილების ჩართულობით მოწყვლადი ოჯახების ბავშვები წელიწადში ორჯერ (200 არასრულწლოვანი) იღებენ სხვადასხვა სახის სასაჩუქრე პაკეტებს.

განყოფილება ახორციელებს პოზიტიური მშობლობის პროექტს, რომელიც გასულ წელს აისახა არასრულწლოვანთა დახმარების ქცეპროგრამაში. პროექტი გამოკვეთილი საჭიროებებიდან გამომდინარე შემუშავდა და იგი ფსიქოლოგის მომსახურებას გულისხმობს, კერძოდ მოწყვლადი ოჯახების მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები მიიღებენ მოწვეული ფსიქოლოგისგან 10 ინდივიდუალურ ფსიქოთერაპიის კურსს, ბავშვის პოზიტიური აღზრდის კომპონენტში.

განყოფილების მულტიდისციპლინური გუნდის ინიციატივით პერიოდულად ხორციელდება საქველმოქმედო აქტივობები, რომლის ფარგლებშიც საჭიროების მიხედვით ბენეფიციარებს მიეწოდებათ სეზონური ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, ასევე სხვა საჭირო ნივთები, საკანცელარიო მასალა და განმავითარებელი რესურსი.